საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

18/12/2024

MES 3 24 0001626197

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლის ურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი

მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 30 აპრილის № 01-09/69 (ცენტრში რეგისტრაციის №484810; 30/04/2024) წერილით შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-მ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2024 წლის 18 ივნისის №689007 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 14 აგვისტოს №971950 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 2, 3 და 4 სექტემბერს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია**			

	მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		x		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		x		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 04 დეკემბერს.
2.4 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.
2.5 1.4 კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია და გაცემული რეკომენდაციის გადახედვის, გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი

ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6]მუხლის პირველი პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1614340 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების რუკების შედგენის პროცესში, დაიხვეწოს თანხვედრა სწავლის სფეროს ძირითად სასწავლო კურსებს (მაგ. ბიზნესის საფუძვლები, პროექტის მართვა), სწავლის შედეგებსა და კომპეტენციის დონეებს შორის (1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 - განმტკიცება) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევა;
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, პროგრამების მიზნების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყოს მულტიკულტურული კომპეტენციის განვითარება;
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, პროგრამების მიზნების და მესამე სწავლის შედეგის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყოს თვისებრივი კვლევის მეთოდების უნარების განვითარება და შეძენა;
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარების მიზნით კულტურათაშორისი მართვის ან / და გუნდური მუშაობის და შიდაპიროვნული უნარების სავალდებულო კურსების შემუშავება;
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების რუკების შედგენის

პროცესში, დაიხვეწოს თანხვედრა სწავლის სფეროს ძირითად სასწავლო კურსებს (მაგ. ბიზნესის საფუძვლები, პროექტის მართვა), სწავლის შედეგებსა და კომპეტენციის დონეებს შორის (1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 - განმტკიცება) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევა;

- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, პროგრამების მიზნების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყოს მულტიკულტურული კომპეტენციის განვითარება;
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, პროგრამების მიზნების და მესამე სწავლის შედეგის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყოს თვისებრივი კვლევის მეთოდების უნარების განვითარება და შეძენა;
- რეკომენდებულია ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა დალაგდეს ლოგიკური თანმიმდევრობით მარტივიდან რთულისკენ (ერთ სემესტრში ისწავლება ფინანსური აღრიცხვა და კორპორაციული ფინანსები, აუდიტი და მმართველობით აღრიცხვა);
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახლდეს კურსი "საინფორმაციო სისტემების მართვა ბიზნესში" პრაქტიკული და გამოყენებითი უნარების გათვალისწინებით, ბიზნეს სექტორის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- რეკომენდებულია, გააუმჯობესოთ პერსონალის შერჩევის პროცესი, რათა ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მომუშავე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს .აკადემიური საქმიანობისთვის ჰქონდეს ინგლისური ენის ფლობის სათანადო დონე;
- პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე შეფასების პროცესში დამატებითი კურსების გათვალისწინება, მაგ. საბაკალავრო პროგრამაში პროექტის მართვა და სამაგისტრო პროგრამებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვა სასწავლო კურსები;
- რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა ჩართულობის მიდგომის ეფექტიანობის უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებასა და შეფასების პროცესში, რაც მათი გამოცდილების და უკუკავშირის საფუძველზე ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებას. განიხილეთ კურიკულუმის შეფასებაში უფრო პირდაპირი ჩართულობის გზები, მაგალითად, სამუშაო ჯგუფების ან კომიტეტების ფორმატში;
- რეკომენდებულია სტუდენტური პორტალის ინგლისურ ენაზე ფუნქციონირება. რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს ყველა სასწავლო კურსის "რიდერი";
- იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი არ იცნობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ასევე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სრული შესაბამისობა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან, რეკომენდებულია ჯიუ-მ შეუფერხებლად და ეფექტურად განახორციელოს "PDCA" (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლი;
- რეკომენდებულია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა წევრი სრულად ფლობდეს ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშში გამოვლენილი სუსტი მხარეების შესახებ და შემუშავებული ჰქონდეს მათი აღმოფხვრის მკაფიო სამოქმედო გეგმა;

- ორი ახალი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სურვილის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით განსაზღვრული შეფასების ყველა ინსტრუმენტი, მათ შორის კითხვარები, შემუშავებული იყოს ინგლისურ ენაზე და წარმოადგენდეს ჯიუს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს;
- ორი ახალი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სურვილის გათვალისწინებით, რეკომენდებულია გადამუშავდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კითხვარების შინაარსი, იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს და გაანალიზდეს უცხოელი დაინტერესებული მხარეებისგან მოპოვებული ინფორმაცია და საერთაშორისო შინაარსის მქონე მონაცემები.

რჩევები:

- ჯიუს მისიის თანახმად, რომელიც მიზნად ისახავს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას და პროგრამის მიზნის შესაბამისად, განავითაროს საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის რელევანტური ძირითადი კომპეტენციები, სასურველია, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უფრო კონკრეტულად უსვამდეს ხაზს კურსდამთავრებულების საერთაშორისო კომპანიებში დასაქმებისათვის მომზადებას;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებში (1 და 2) მკაფიოდ უნდა მიეთითოს „დაკავშირებული სფეროები“ და „პროცესები“.
- სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვან და ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში შეიცვალოს "ბიზნესის სამართლებრივი გარემოს" სასწავლო
- კურსის სახელწოდება და ეწოდოს "ბიზნეს სამართალი", რომელიც შეესაბამება კურსის და პროგრამის სწავლის შედეგებს;
- საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებული "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება კიდევ უფრო დაიხვეწოს მათი კონკურენტული უპირატესობის გაძლიერების მიზნით. როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე სწავლის სფეროში და საზოგადოებაში პროგრამების წვლილის უფრო ნათლად წარმოჩენით, პროგრამები შეძლებენ უკეთესად ასახონ უნივერსიტეტის მისია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიმართულებით;
- სწავლის შედეგების მისაღწევად, როგორიც არის სტუდენტების კრიტიკული შეფასების კომპეტენციის და შემოქმედებითი უნარების გაძლიერება, სასურველია, შემცირდეს ისეთი შეფასებების გამოყენება, რომლებიც ექსკლუზიურად ითვალისწინებს დახურულ კითხვებს;
- სასურველია, სტუდენტური პორტალის მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაუმჯობესება;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მიაწოდონ უფრო ყოვლისმომცველი ინფორმაცია და მითითებები აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, განსაკუთრებით ნაშრომის წარდგენის და განხილვის პროცესთან დაკავშირებით;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნის შესაბამისად, სასურველია პროგრამაში საერთაშორისო პერსონალის ჩართვა და სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობა რეცენზირებადი საერთაშორისო ჟურნალების მეშვეობით;

- სასურველია, რომ ჯიუ-მ რეგულარულად გადაამოწმოს და უზრუნველყოს, რომ მის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს თავიანთ სამეცნიერო ნაშრომებში მითითებული ჰქონდეს ჯიუ-სთან აფილიაცია;
- სასურველია, რომ ჯიუმ უზრუნველყოს იმ აკადემიური პერსონალის აქტიური ინფორმირება და მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სამეცნიერო აქტივობებში, რომლებიც არ არიან ჩართული სასწავლო პროცესში;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის აკადემიურ პერსონალს შექმნილი ჰქონდეთ სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate;
- სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალისთვის უზრუნველყოს ყოვლისმომცველი ტრენინგის და მხარდამჭერი ღონისძიებების ინსტიტუციონალიზაცია, მათი გრანტებზე განაცხადის გაკეთების უნარების გაუმჯობესების მიზნით;
- სასურველია, რომ ჯიუს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი და მისი შეფასების ინსტრუმენტები, როგორც შეფასების ინსტრუმენტების განუყოფელი ნაწილი;
- სასურველია, ჯიუმ უზრუნველყოს, რომ პროგრამების განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობდეს და ითვალისწინებდეს შიდა ხარისხის შეფასების შედეგებს, ასევე იცნობდეს და კონტაქტს ამყარებდეს აღნიშნული შეფასებების განმახორციელებელ პირებთან;
- სასურველია, რომ დოკუმენტში "ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების გარე და შიდა შეფასება" წარმოდგენილი იყოს შეფასების შედეგები არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ექსპერტებისგან;
- სასურველია, რომ პროგრამების მონიტორინგის და პერიოდული შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვება და ანალიზი არ ეფუძნებოდეს მხოლოდ გამოკითხვებს. აღნიშნულის ნაცვლად, ხარისხის შეფასების მიგნებები ასახული უნდა იყოს ყოვლისმომცველ ანგარიშში, რომელიც უნდა წარმოადგენდეს პროგრამის მიღწევების ჰოლისტურ ხედვას და არა ცალკეულ შეხედულებებს;
- სასურველია, რომ სამიზნე ნიშნულების მექანიზმები და განხორციელების პროცედურები წარმოადგენდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. მაგალითად, სასურველია სტუდენტების მონაცემების სამიზნე ნიშნულების გაფართოება სტუდენტების შენარჩუნების და გარიცხვის მაჩვენებლების საზომის დანერგვით, ისევე როგორც აკადემიური წარმატების ინდიკატორების დანერგვა, როგორიც არის კუმულაციური საშუალო ქულა.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 04 დეკემბერს.
5. რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით მონიტორინგი განხორციელდეს 2025 წლის 04 დეკემბერისთვის.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ